

**შპს „ევროთრეიდი“-ს ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის**

შპს "ვეროთრედი"				
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
ერთეული: 1 GEL				
	საანგარიშგებო თარიღი			
	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022	შენიშვნა
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	73192	26855	48505	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2909087	3777121	4744963	
ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	186557	452967	581574	
მ.შ. - გრძელვადიანი სესხები				
მარაგები	2751173	2631388	3338923	3.2
მ.შ. - მზა პროდუქცია				
- სხვა	2751173	2631388	3338923	
საინვესტიციო ქონება				
სხვა მოვლევადიანი აქტივები	106290	94650	30272	
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები	86207	97715	43688	
ძირითადი საშუალებები	4559931	4769102	4785822	3.3
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	10672437	11849798	13573747	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება	1500	800		
მ.შ. - ფინანსური იჯარის (ლიზინგის) გრძელვადიანი ნაწილი				
სავაჭრო ვალდებულებები	1381139	1370212	2199773	
ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	7180	5568	15605	3.4
საგადასახადო ვალდებულებები	41991	93058		
გამოუმუშავებელი შემოსავალი	99871	209244	125326	
მოვლევადიანი ნასესხები სახსრები	456528	31786	318635	3.5
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	4332109	5184041	5170651	3.5
მიღებული გრანტები				
მ.შ. - გრანტებიდან წარმოქმნ. გრძელვადიანი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები	6320318	6894709	7829990	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	24113	24113	24113	
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/დაგროვილი ზარალი	4328006	4930976	5719644	
გადაფასების რეზერვი				
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები				
სულ საკუთარი კაპიტალი	4352119	4955089	5743757	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	10672437	11849798	13573747	
სულ მოვლევადიანი აქტივები	6026299	6982981	8744237	
სულ მოვლევადიანი ვალდებულებები	1988209	1710668	2659339	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 27.10.2025 წ.				
დირექტორი _____	ლაშა მგალობლიშვილი			
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.				

შპს "ევროთრეიდი"			
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება		ერთეული: 1 GEL	
	საანგარიშგებო პერიოდი		
	2024	2023	შენიშვნა
ნეტო ამონაგები	14035440	12874237	3.6
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	13962178	12772731	
- მომსახურების გაწევიდან	73262	101506	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
გაყიდვების თვითღირებულება	-11130273	-9749442	
საერთო მოგება	2905167	3124795	
სხვა საოპერაციო შემოსავალი	38		
დასაქმებულთა ანაზღაურება	-1401313	-1628315	
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-360449	-338072	
საპროცენტო შემოსავალი			
საპროცენტო ხარჯი	-368531	-305603	
იჯარის ხარჯი	-1500	-1000	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-686493	-1433759	3.7
სულ საოპერაციო ხარჯები	-2818248	-3706749	
საოპერაციო მოგება	86919	-581954	
გაუფასურების ხარჯი/აღდგენა			
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.	80924	-187587	
მიღებული დივიდენდები			
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	98726	255477	3.8
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	266569	-514064	
მოგების გადასახადის ხარჯი	-129043		
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	137526	-514064	
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი			
ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მეკავ. საწ. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)			
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	137526	-514064	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	4955089	5743757	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-731244	-265958	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-9252	-8646	
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	4352119	4955089	3.9
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 27.10.2025 წ.			
დირექტორი _____	ლაშა მგალობლიშვილი		

შპს "ევროთრეიდი"			
ფულადი ნაკადების ანგარიშგება			
		ერთეული: 1 GEL	
	საანგარიშგებო პერიოდი		
	2024	2023	
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1623327	1165223	
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	-141906	-211269	
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-1436248	-977606	
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში	45173	-23652	
სავალუტო კურსის ეფექტი	1164	2002	
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	26855	48505	
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	73192	26855	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 27.10.2025 წ.			
დირექტორი _____	ლაშა მგალობლიშვილი		

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „ვეროთრეიდი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2011 წლის 30 ნოემბერს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ; მისი საიდენტიფიკაციო ნომერია - 404919987, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, გლდანის რაიონი, წყალსადენის ქუჩა № 55დ. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად 2011 წლის 1 დეკემბერს.

1.2. კომპანიის ერთადერთი პარტნიორი 100%-იანი წილის მფლობელია საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი ლაშა მგალობლიშვილი (პ/ნ 01024039909) .

კომპანიის დირექტორია ლაშა მგალობლიშვილი (პ/ნ 01024039909).

1.3. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა არასპეციალიზებული საბითუმო ვაჭრობა, საბითუმო ვაჭრობა სხვა ქიმიური პროდუქტებით და ასევე სხვა საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

1.4. კომპანია საანგარიშგებო პერიოდში ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებდა ლოკაციის 1 ადგილიდან (თბილისში).

1.5. კომპანიას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი, ასოცირებული ან მეკავშირე საწარმოები.

1.6. 2024 წლის მდგომარეობით, კომპანიაში დასაქმებულ თანამშრომელთა საშუალო რიცხოვნობა შეადგენს 35 კაცს.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო

სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე ჩათვლით). 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს-ის დებულებები.

2.5. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის შექმნა, ან დებიტორული დავალიანების უფრო ადრე აღიარება საექვო მოთხოვნად.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ (სამუშაო) ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდი ფასი შემცირებული იმ მოსალოდნელი დანახარჯებით, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ასევე, თვითღირებულების მოდელი გამოიყენება მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციებისთვის.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და ნარჩენ (სალიკვიდაციო) ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები -	4%;
ოფისის აღჭურვილობა -	20%;
კომპიუტერული ტექნიკა -	20%;
ავტოსატრანსპორტო საშუალებები -	10%;
სხვა ძირითადი საშუალებები -	50%

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.6. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, რომელთათვისაც ეს დებულება ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან, და ზოგიერთი სხვა გამონაკლისისა (ფინანსური დაწესებულებები: ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები; აგრეთვე, სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ან/და სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული თამაშობების ორგანიზატორი პირები).

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2024 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.7. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.8. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8068 ლარი; 1 EUR=2.9306 ლარი.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6894 ლარი; 1 EUR=2.9753 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2024 წელს: 1 USD=2.7208 ლარი; 1 EUR=2.9440 ლარი.

2023 წელს: 1 USD=2.6279 ლარი; 1 EUR=2.8416 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

აღნიშნული მუხლი 2024 წლის დასაწყისისა და ბოლოს მდგომარეობით მოიცავს:

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში	97.06	188.66	109.41
ნაღდი ფული სალაროში ევრო			1009.54
ლარი საბანკო ანგარიშებზე	71969.99	25978.57	47370.2
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	1100.07	537.88	0
ევრო საბანკო ანგარიშებზე	23.44	149.92	15.86
რუსული რუბლი საბანკო ანგარიშზე	1.08		
სულ:	73192	26855	48505

კომპანიის ფულადი სახსრები შედგება სალაროს ანგარიშზე არსებული თანხისა და საქართველოს რამოდენიმე კომერციულ ბანკში არსებულ ანგარიშებზე არსებული თანხებისაგან. კომპანიას ანგარიშები გახსნილი აქვს შემდეგ ბანკებში: სს „თიბისი ბანკი“ და სს „პროკრედიტ ბანკი“.

3.2. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
გასაყიდი საქონელი	2717529	2565170	3071396
საქონელი გზაში			182828
საწყობში არსებული ჩამოსაწერი და გაუფასურებული საქონელი	22128	22128	22289
სხვა მარაგი	11516	43836	38936
საწვავ-საცხები მასალები		0	1595
ნედლეული და მასალები		255	21880
სულ:	2751173	2631388	3338923

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მარაგები შედგება ძირითადად იმპორტირებული გასაყიდი საქონლისაგან, კერძოდ სადებიზინფექციო-ქიმიური საშუალებებისა, შესაფუთი საქონლისა და საკვები დანამატებისაგან და სხვა მარაგებისაგან.

3.3. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	2024 წელი ზრდა ან შემცირება	2024 წელი დარიცხულ ი ცვეთა	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	2023 წელი ზრდა ან შემცირება	2023 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 01.01.2023მდგო მარეობით
არასასოფლო მიწის ნაკვეთი	626314	0	0	626314	0	0	626314
დასამონტაჟებელი მოწყობილობა	30775	0	0	0	0	0	
შენობები	3070865	38446.45	133950.02	3166369	12377	133273	3287265
კომპიუტერები და აღჭურვილობა	61228	16633.90	21437.94	66032	13463	15356	67926
ოფისის აღჭურვილობა	83497	21643.23	23368.27	85222	10923	21169	95468
კავშირგაბმულობის საშუალებები	4227	219.49	3800.29	7808	888	1338	8258
ავეჯი და სხვა ინვენტარი	28793	13728.81	7930.23	22994	4262	6152	24885
სატრანსპორტო საშუალებები	319413	30024.72	45524.61	334912	17202	4129	321839
სხვა ამორტიზირებადი ძირითადი საშუალებები	0	0	0	0	0	47	47
უსაფრთხოების აღჭურვილობა	21380		2700.68	24081	0	2701	26782
საწყობის აღჭურვილობა	172045		60577.99	232623		62277	294900
სპეციალური ინსტრუმენტები	136992	6969.91	36021.5	166044	204198	38154	0
მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები	3291	2581.26	5804	6514	6136	4506	4883
მრავალწლიანი ნარგავები	1109	0	138	1247	1377	130	0
სულ:	4559930	82419	220515	4740160	270826	289233	4758567

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2024 წლის ბოლოს - 859202.71 ლარი;

2023 წლის ბოლოს - 517650.02 ლარი.

3.4. ვალდებულება თანამშრომელთა მიმართ:

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
გასაცემი ხელფასები	378	279	263
სავალდებულო საპენსიო შენატანი	6802	5289	15342
სულ:	7180	5568	15604.54

საანგარიშო პერიოდის ბოლოს ეს მუხლი შედგებოდა შემდეგი თანხებისაგან გადასახდელი ხელფასი 378 ლარი და ვალდებულება სავალდებულო საპენსიო შენატანებით - 6802 ლარი.

3.5. მოკლევადიანი და გრძელვადიანი ნასასესხი სახსრები

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
პროკრედიტ ბანკის საკრედიტო ხაზი 75.6867	1846284	2158006	2305771
პროკრედიტ ბანკის სესხი 75.6868	0	0	156405
პროკრედიტ ბანკის სესხი 75.6869	249471	370991	410019
პროკრედიტ ბანკის სესხი 75.7658	936322	1240983	1331737
პროკრედიტ ბანკის სესხი 75.8032	0	52400	149247
პროკრედიტ ბანკის სესხი 75.8387	611278	781926	817472
პროკრედიტ ბანკის სესხი 75.10158	481083	579734	
პროკრედიტ ბანკის სესხი 75.10851	207671		
მოკლევადიან სესხი პროკრედიტ ბანკი და ფიზიკური პირის	456528	31786	318635
სულ:	4788637	5215827	5489286

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის სასესხო ვალდებულებები შედგება როგორც გრძელვადიანი, ასევე მოკლევადიანი სასესხო მვადებულებისაგან, კერძოდ სს „პროგრედიტ ბანკის“ 5 სესხისაგან, ერთი საკრედიტო ხაზისაგან, ასევე საქართველოს რეზიდენტი ერთი ფიზიკური პირისგან მიღებული სესხისაგან, რომელიც დასრულდა 2025 წელს.

3.6. ნეტო ამონაგები:

	2024 წელი	2023 წელი
საქონლის რეალიზაცია	13962178	12772731
მომსახურების რეალიზაცია	73262	101506
სულ:	14035440	12874237

2024 წელს, კომპანიის ნეტო-ამონაგები შედგებოდა სადეზინფექციო-ქიმიური საქონლის, შესაფუთი მასალების, საკვები დანამატების და მომსახურების რეალიზაციით მიღებული შემოსავლისაგან (დღგ-ის გარეშე) - 14 035 440 ლარი.

3.7. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები:

	2024 წელი	2023 წელი
რეკლამის ხარჯები	(27 077)	(31 280)
საერთო დანიშნულების დაზღვევის ხარჯები	(30 095)	(15 058)
ინტერნეტის ხარჯი	(13 472)	(7 317)
კომპიუტერის ხარჯები	(2 535)	(3 986)
კომუნიკაციის ხარჯები	(10 056)	(10 171)
საწვავის ხარჯები	(40 207)	(36 495)
ავტომობილის შენახვის ხარჯი	(30 462)	(35 479)
კომუნალური გადასახადების ხარჯი	(36 759)	(32 867)
წარმომდგენლობითი ხარჯი	(45 742)	(46 387)
საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯი	(66 383)	(263 693)
საგადასახადო ხარჯები	(41 354)	(42 517)
საბანკო ხარჯები	(77 640)	(48 076)
მივლინების ხარჯები (საერთო-ადმინისტრაციული)	(94 778)	(85 199)
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(49 684)	(22 987)
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯი	(89 583)	(716 510)
სხვა ხარჯები	(30 665)	(35 736)
სულ:	(686 493)	(1 433 759)

3.8. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი:

	2024 წელი	2023 წელი
არასაოპერაციო მოგება მს და არ. აქტ. რეალიზაციიდან	0	16347
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	126615	275258
სამეურნეო ჯარიმები და პირგასამტეხლოები	(13 898)	(17 434)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(12 174)	(16 939)
სხვა ფინანსური ხარჯი	(1 817)	(1 754)
სულ:	98 726	255 477

3.9. კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს

კომპანიის წესდებით განსაზღვრული კაპიტალი 24113 ლარია. კომპანიის საკუთარი კაპიტალი შედგება წესდებით განსაზღვრული კაპიტალისგან და დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებისაგან. 2023 წელს კომპანიის ფინანსური შედეგი იყო ზარალი: -514064 ლარი, ხოლო 2024 წელს - მოგება: 137526 ლარი. 2024 წელს კომპანიაში განაწილდა 731244 ლარი, რომელიც წარმოადგენს 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ მიღებული მოგებიდან განაწილებას, აღნიშნულ თანხაზე მოგების გადასახადმა შეადგინა 129043 ლარი.

გარდა ამისა, 2024 წელს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე გავლენა მოახდინა ბიუჯეტთან, არარეზიდენტ მიმწოდებლებთან და მსესხებლებთან მომხდარმა შედარებებმა, რომლებმაც გამოავლინა წინა წლებში დაშვებული შეცდომები, ჯამში 9252 ლარი, რაც აისახა როგორც შეცდომების გასწორება საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში. შესაბამისად, კომპანიის გაუნაწილებელი მოგების ნაშთი 2024 წლის ბოლოს შეადგენს 4352119 ლარს, რომლის დივიდენდებაც განაწილების შესახებ გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული.

3.10. განაწილება მესაკუთრეებზე (განაწილებული დივიდენდი)

2024 წელს კომპანიაში განაწილებული იქნა 2017 წლის შემდეგ დაგროვილი მოგების ნაწილი დივიდენდის სახით.

3.11. სასამართლო დავები

2024 წელს კომპანიის წინააღმდეგ ერთი კრედიტორის მიერ წამოწყებული იქნა სასამართლო დავა, რაზედაც კომპანიის მხრიდან შეტანილ იქნა შეგებებული სარჩელი სასამართლოში. ეს დავა გრძელდება 2025 წელსაც და მისი მოსალოდნელი შედეგები ამ ეტაპზე გაურკვეველია. თავად კომპანია უჩივის რამდენიმე ვადაგადაცილებულ დებიტორს თანხის

გადაუხდელობის გამო, თუმცა სადავო თანხები კომპანიის საქმიანობის მასშტაბთან შედარებით მცირეა. რამდენიმე დავა წარმატებით დასრულდა 2024 წელს.

3.12. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2025 წლის 1 იანვრიდან 27 ოქტომბრის პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში სხვა საყურადღებო მოვლენები, რომელიც გამოიწვევდა ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას, არ მომხდარა.

3.13. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2025 წლის 27 ოქტომბერს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო თარიღი			შენიშვნა
	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022	
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	73192	26855	48505	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2909087	3777121	4744963	
ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	186557	452967	581574	
მ.შ. - გრძელვადიანი სესხები				
მარაგები	2751173	2631388	3338923	3.2
მ.შ. - მზა პროდუქცია				
- სხვა	2751173	2631388	3338923	
საინვესტიციო ქონება				
სხვა მოკლევადიანი აქტივები	106290	94650	30272	
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები	86207	97715	43688	
ძირითადი საშუალებები	4559931	4769102	4785822	3.3
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	10672437	11849798	13573747	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება	1500	800		
მ.შ. - ფინანსური იჯარის (ლიზინგის) გრძელვადიანი ნაწილი				
სავაჭრო ვალდებულებები	1381139	1370212	2199773	
ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	7180	5568	15605	3.4
საგადასახადო ვალდებულებები	41991	93058		
გამოუმუშავებელი შემოსავალი	99871	209244	125326	
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	456528	31786	318635	3.5
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	4332109	5184041	5170651	3.5
მიღებული გრანტები				
მ.შ. - გრანტებიდან წარმოქმნ. გრძელვადიანი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები	6320318	6894709	7829990	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	24113	24113	24113	
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/დაგროვილი ზარალი	4328006	4930976	5719644	
გადაფასების რეზერვი				
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები				
სულ საკუთარი კაპიტალი	4352119	4955089	5743757	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	10672437	11849798	13573747	
სულ მოკლევადიანი აქტივები	6026299	6982981	8744237	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1988209	1710668	2659339	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 27.10.2025 წ.

დირექტორი



ლაშა მაგალობლიშვილი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი



შპს "ევროტრედი"

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2024	2023	
ნეტო ამონაგები	14035440	12874237	3.6
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	13962178	12772731	
- მომსახურების გაწევიდან	73262	101506	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
გაყიდვების თვითღირებულება	-11130273	-9749442	
საერთო მოგება	2905167	3124795	
სხვა საოპერაციო შემოსავალი	38		3.7
დასაქმებულთა ანაზღაურება	-1401313	-1628315	
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-360449	-338072	
საპროცენტო შემოსავალი			
საპროცენტო ხარჯი	-368531	-305603	
იჯარის ხარჯი	-1500	-1000	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-686493	-1433759	
სულ საოპერაციო ხარჯები	-2818248	-3706749	
საოპერაციო მოგება	86919	-581954	
გაუფასურების ხარჯი/აღდგენა			3.8
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.	80924	-187587	
მიღებული დივიდენდები			
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	98726	255477	
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	266569	-514064	
მოგების გადასახადის ხარჯი	-129043		
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	137526	-514064	
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი			3.9
ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მეკავ. საწ. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)			
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:	137526	-514064	
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი			
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	4955089	5743757	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-731244	-265958	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-9252	-8646	
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	4352119	4955089	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 27.10.2025 წ.

დირექტორი



ლაშა მგალობლიშვილი

შპს "ევროთრეიდი"


ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2024	2023
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1623327	1165223
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	-141906	-211269
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-1436248	-977606
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში	45173	-23652
სავალუტო კურსის ეფექტი	1164	2002
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	26855	48505
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	73192	26855

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 27.10.2025 წ.

დირექტორი



ლაშა მგალობლიშვილი

